# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 428

„ 7 " ნოემბერი 2017 წ

ქ. თბილისი

**ქ.თბილისში, სოფელ დიღომში, მდებარე 204 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.72.14.055.053) მანანა მიქელაძისთვის (პ/ნ 01025000727) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქ.თბილისში, სოფელ დიღომში, მდებარე 204 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.72.14.055.053) მანანა მიქელაძისთვის (პ/ნ 01025000727) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარდგენის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის 26 ოქტომბრის N40.16.786 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქ.თბილისში, სოფელ დიღომში, მდებარე 204 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.72.14.055.053) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით მანანა მიქელაძისთვის (პ/ნ: 0102500727) გადაცემაზე, ფუნქციური ზონის შესაბამისად, კომერციული დანიშნულების შენობა-ნაგებობის განთავსების მიზნით.

2. შეთანხმდეს საიჯარო ქირის წლიური საფასური - 4 800 (ოთხი ათას რვაასი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი